

ინფორმაცია მსოფლიო
მემკვიდრეობის ძეგლის - “გელათის
მონასტრის” ღვთისმშობლის შობის
სახელობის ტაძარზე გამოვლენილი
ხარვეზების, გამოსასწორებელი
ღონისძიებებისა და ქმედებების
შესახებ

საქართველოს კულტურული
მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული
სააგენტო



3 აგვისტო, 2020წ.



1. კონტექსტი

2. გადახურვის ხარვეზები

3. კედლის მხატვრობის დაზიანება

4. განხორციელებული ქმედებები


5. სამომავლო ნაბიჯები



1994 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში, როგორც ბაგრატის კათედრალი და გელათის მონასტერი;

2010-2017 წლები - საფრთხის ქვეშ მყოფ ძეგლთა ნუსხაში;

2017- საზღვრების მნიშვნელოვანი მოდიფიკაცია: გელათის მონასტერი, დაბრუნდა მსოფლიო მემკვიდრეობის რეგულარულ ნუსხაში;



გელათის მონასტრის რეაბილიტაციის პროცესი

გელათის სამონასტრო კომპლექსის ფართომასშტაბიანი რეაბილიტაციის პროგრამას სახელმწიფო 2008 წლიდან მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრთან და კომიტეტის მრჩეველ ორგანოებთან შეთანხმებული პროგრამის მიხედვით ეტაპობრივად ახორციელებს.

2008 წელი - შემუშავდა მონასტრის კონსერვაციის მართვის გეგმა და შესაბამისი შესაბამისი პროექტები კომპლექსში შემავალი შენობებისა და არქეოლოგიის რეაბილიტაცია-კონსერვაციისათვის. განახლდა 2015 წელს;

2010;2015წ.წ. - მსოფლიო მემკვიდრეობის კონვენციის აღსრულების სახელმძღვანელო პრინციპების 172- ე პარაგრაფის შესაბამისად შეთანხმებულ იქნა მსოფლიო მემკვიდრეობის ცენტრსა და იკომოსთან.

2010 წლიდან სხვადასხვა დონორის დახმარებით, პროექტის ეტაპობრივი განხორციელება დაიწყო კომპლექსის სხვადასხვა ნაგებებისათვის.

გელათის როგორც გეგმარებითი, კვლევითი და საკონსერვაციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების წარმოების მიდგომები და განხორციელების მეთოდოლოგია სრულად პასუხობს დარგში დღეს არსებულ საერთაშორისო ნორმებსა და მიდგომებს. ამას ადასტურებს 2015 წლის იუნესკო/იკომოს/იკრომის რეაქტიული მონიტორინგის მისიისა და 2017 წლის კომიტეტისთვის შემუშავებული პოზიტიური შეფასებები, რის საფუძველზეც, გელათის სამონასტრო კომპლექსმა, როგორც დამოუკიდებელმა ძეგლმა თავისი კუთვნილი ადგილი დაიბრუნა მსოფლიო მემკვიდრეობის ნუსხაში.



ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის რეაბილიტაციის პროცესი

ა(ა)იპ „საქართველოს მემკვიდრეობის“ შემუშავებული პროექტის მიხედვით, ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ნებართვების საფუძველზე 2013 - 2019 წლებში გელათის კომპლექსური რეაბილიტაცია განხორციელდა. ა(ა)იპ „ხელოვნების საერთაშორისო ცენტრის“ მიერ.

2013-2018წლები - ტაძრის გადახურვების რეაბილიტაცია (გუმბათი, მკლავები, საკურთხეველი, მკლავთაშორისი სივრცეები) - დაფინანსებულია აშშ-ის ელჩის კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ფონდის მიერ;

2015-2017წლები - ტაძრის სამშენებლო მასალის(ქვის) საკონსერვაციო სამუშაოები - დაფინანსებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

2018-2019 წლები - “გელათის ღვთისმშობლის ტაძრის ეკვდერების გადახურვის, ცოკოლის და სადრენაჟო სისტემის რეაბილიტაცია” - დაფინანსებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.

2019 წელი - გელათის ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის ჩრდ. მკლავის მხატვრობის გადაუდებელი საკონსერვაციო სამუშაოები - დაფინანსებულია საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ.



ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძრის გადახურვის დაზიანება

2020 წლის ზამთარში, გელათის ღვთისმშობლის სახელობის ტაძრის გადახურვა, კერძოდ კი თეთრი კერამიკით დამზადებული მოჭიქული კრამიტი, დაზიანდა.

თებერვალში ეროვნულ სააგენტოში შემოვიდა ინფორმაცია, რომ გარდა დაზიანებული გადახურვისა, ტაძარში, კონკრეტულად კი დასავლეთ მკლავში წყალი ჩადის და ზიანდება კედლის მხატვრობა.

2020 წლის 11 მარტს მდგომარეობის შეფასების მიზნით, ეროვნული სააგენტოს სამუშაო ჯგუფის გასვლითი მისია მოეწყო.

ეროვნულ სააგენტოსთან ერთად შეხვედრაში მონაწილეობა მიიღეს:

- კულტურული მემკვიდრეობის საბჭოს ადრექრისტიანული და შუასაუკუნეების კულტურული მემკვიდრეობის უძრავი ძეგლების სექციის წევრებმა (*მონუმენტური სახვითი ხელოვნების სექციის წევრებმა მონაწილეობა არ მიიღეს*);
 - მუნიციპალური განვითარების ფონდმა;
 - შემსრულებელმა კომანიამ;
 - პროექტის საავტორო ჯგუფმა;
- გელათის რეაბილიტაციის პროცესში, სააგენტოში არაერთხელ შემოვიდა ინფორმაცია წყლის ჩასვლასთან დაკავშირებით.
- სააგენტოს რეაგირების საფუძვლზე აღნიშნული ხარვეზები ეტაპობრივად აღმოიფხვრა შემსრულებლის მიერ.




გადახურვის მოწყობის ხარვეზი:

პრობლემა ფიქსირდება:

დასავლეთ მკლავზე;

სავარაუდოდ ჩრდილოეთ მკლავზე.

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი
გადახურვასა და კედლის ბმის ადგილებში
ამორტიზებული შევსებებია.



ფოტო 2019წ.



გადახურვის მოწყობის ხარვეზი:

პრობლემა ფიქსირდება:

დასავლეთ მკლავზე;

სავარაუდოდ ჩრდილოეთ მკლავზე.

შედეგად, ლოკალურად ფიქსირდება შემდეგი სახის დაზიანებები:

- გამომარილება;
- ბიოაქტივობა;
- ქვის ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა);
- შეკეთებების (ქვის საკონსერვაციო ხსნარის) ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა); განშრევა;
- კრამიტებს შორის შევსებების 1. დანაკარგი; 2. ბზარი. 3. კრამიტთან მორღვეული კავშირი;



კრამიტთან დაკავშირებული დეფექტი:

პრობლემა ფიქსირდება:

ეკვდერებზე;

კარიბჭეებზე;


ნართექსზე;

საკუროთხვეველზე;

გვხვდება კრამიტების სრული და ნაწილობრივი დანაკარგი; ბზარები და მიკრობზარები;

პრობლემის გამომწვევი სავარაუდო მიზეზი კრამიტის შეუსაბამო ხარისხია.

ყველაზე მეტად დაზიანებულია წმ. მარინეს სახელობის ეკვდერის გადახურვა.



კრამიტთან დაკავშირებული დეფექტი:

პრობლემა ფიქსირდება:

ეკვდერებზე;


კარიბჭეებზე;

ნართექსზე;

საკურთხეველზე;

შედეგად, ლოკალურად ფიქსირდება შემდეგი სახის დაზიანებები:

- გამომარილება;
- ბიოაქტივობა;
- ქვის ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა);
- შეკეთებების (ქვის საკონსერვაციო ხსნარის) ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა); განშრევა;
- კრამიტებს შორის შევსებების 1. დანაკარგი; 2. ბზარი. 3. კრამიტთან მორღვეული კავშირი;



კრამიტთან დაკავშირებული დეფექტი:

პრობლემა ფიქსირდება:

ეკვდერებზე;


კარიბჭეებზე;

ნართექსზე;

საკუროთხვეველზე;

შედეგად, ლოკალურად ფიქსირდება შემდეგი სახის დაზიანებები:

- გამომარილება;
- ბიოაქტივობა;
- ქვის ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა);
- შეკეთებების (ქვის საკონსერვაციო ხსნარის) ფერის სახეცვლა/ შემუქება (სავარაუდო ტენის შემცველობა); განშრევა;
- კრამიტებს შორის შევსებების 1. დანაკარგი; 2. ბზარი. 3. კრამიტთან მორღვეული კავშირი;



ტაძრის დასავლეთ მკლავზე, სავარაუდოდ გადახურვასა და კედლის შეპირაპირების ადგილას არსებულ კირის შევსებაზე გაჩენილი ბზარებიდან გამოწვეული წყლის ინფილტრაციის შედეგად:

- დასველდა ტაძრის დასავლეთ მკლავის კამარის სამხრეთ ნაწილში არსებული კედლის მხატვრობა, რომლის გამოშრობის პროცესში წარმოიქმნა მარილის ნადები.
- დასველების შედეგად ნაწილობრივ ჩამოცვივდა XX საუკუნის რესტავრაციისას გაკეთებული ქიმები.

2020 წლის 17 ივნისის მდგომარეობით, ამავე მონაკვეთზე ჩამოცვივნილია ორიგინალი მხატვრობის ფრაგმენტებიც.

ეროვნული სააგენტოს სპეციალისტების მიერ განხორციელებული დეტალური და ეტაპობრივი მონიტორინგისა და მონასტრის წარმომადგენლებთან გასაუბრების შედეგად, მოზაიკის დაზიანებისა ან/და მისი ფრაგმენტების დაკარგვა არ დადასტურებულა.




კედლის მხატვრობის დაზიანებული მონაკვეთები - დასავლეთი მკლავი

დასავლეთი მკლავის სამხრეთი კედელი

2020 წლის 30 აპრილის ფოტოზე წითელ ჩარჩოში ქვის გამუქებული ზედაპირი შენარჩუნებულია. სიმუქე გამოწვეულია ტენის დიდი რაოდენობით. კედლის სისველე სარკისებურად აისახება ინერიერშიც.

2020 წლის 17-19 ივნისის ფოტოებზე ქვის გამუქებული ლაქა გაზრდილია (ლურჯი ისარი). ინტერიერში ლურჯი ისრით მითითებულ ადგილას სისველის ზუსტი გავრცელების დადგენა გართულებულია, ვინაიდან ხარჩოს პლადფორმები ხელს უშლის ზოგადი სურათის ხილვადობას.



კედლის მხატვრობის დაზიანებული მონაკვეთები - დასავლეთი მკლავი

2020 წლის 16-19 ივნისის მდგომარეობა - ფრაგმენტების დანაკარგი

მთავარი ტაძრის დასავლეთ მკლავში აგებული ხარაჩოს პლადფორმებზე დაფიქსირდა დიდი რაოდენობის ორიგინალი მხატვრობის მქონე შელესილობის ჩამოცვენილი ფრაგმენტები. აღნიშნული ფრაგმენტების ჩამოცვენა მოხდა 2020 წლის 22 მაისსა და 17 ივნისს შორის დასავლეთი მკლავის კამარის სამხრეთი კედლიდან (მარცხენა სცენა, ზედა რეგისტრი). გარდა ფრაგმენტებისა, პლადფორმაზე დიდ რაოდენობის მარილის კრისტალებია ჩამოცვენილი.



ტაძრის სამხრეთ-დასავლეთ ეკვდერზე, სადაც კონცენტრირებულია დაზიანებული კრამიტები, დაფიქსირდა წყლის შედარებით მცირე რაოდენობის ინფილტრაცია, რის შედეგადაც:

- სეგმენტურად დასველდა ეკვდერში არსებული კედლის მხატვრობის ნაწილი, რომლის გამოშრობის პროცესში წარმოიქმნა თეთრი ნადები - სავარაუდოდ მარილი.



კედლის მხატვრობის დაზიანებული მონაკვეთები - წმ. მარინეს სახელობის ეკვდერი

დაზიანების ტიპი: გამომარილება და მასთან დაკავშირებული ორიგინალი მასალის დეგრადაცია

ლოკაცია: სამხრეთი კედლის ზედა რეგისტრი, დასავლეთი ნაწილი (2. სცენის მარცხენა ქვედა ნაწილი რეგისტრის ხაზთან)

გამომარილების ტიპი: ნაფიფქი - ფაფუკი მასა, რომელიც ახლად გამომარილებულია. მარილის კრისტალიზაციის ციკლისგან გამოწვეული ორიგინალი მასალის დაზიანება მოიცავს ფერის ფენისა და შელესილობის დანაკარგს, აქერცვლასა და გაფხვიერებას.



2020 წლის თებერვალში სააგენტოში შემოსული ინფორმაციის საფუძველზე, მარტში განხორციელებული საველე მისიის შემდეგ ეროვნულმა სააგენტომ დარგის შესაბამისი სპეციალისტების ჩართულობით, კედლის მხატვრობის არსებული მდგომარეობის, დაზიანების გამომწვევი მიზეზების კვლევის მიზნით, ეტაპობრივად ახორციელებს მონიტორინგს.



ვიზუალური დაკვირვებით თვალით ხილული განსხვავება არ შეინიშნება



აღმ. ჭრილი




- ჩატარდა ღვთისმშობლის სახელობის ტაძარში, ტაძარში და სამხრეთ კარიბჭეში არსებული მდგომარეობის ანალიზი; განისაზღვრა ისტორიულად დაზიანებული და აქტიური დაზიანების მქონე არეები; აღინუსხა დაზიანების ტიპები და განისაზღვრა დაზიანების აქტივიზაციის პროცესი;




ლოკაცია: აღმოსავლეთი კედელი

16-19 ივნისი 2020



16-19 ივნისი 2020



გადახურვებსა და ფასადზე გამოვლენილი დაზიანების ტიპები (გამომარილება, ფერის სახეცვლა/ნესტი) მიუთითებს წყლის ზემოქმედებაზე. ფასადზე იდენტიფიცირებული დაზიანების ადგილები დათვალა ინტერიერის მხრიდან. ინტერიერში გამოავლინდა ქვის ზედაპირის შემუქება (სავარაუდოა დაზიანების შედეგად). 2018-2020 წლებს შორის, რაც შესაძლოა უკავშირდებოდეს გადახურვებსა და ფასადზე არსებულ დაზიანებებს (დაზიანების წყაროს და აქტივიზაციის მექანიზმს).

- შესწავლილ იქნა ფასადებისა და ინტერიერის მდგომარეობა და დადგინდა მათ შორის ურთიერთკავშირი



მონიტორინგის მიხედვით 50 დღიანი ინტერვალის თანახმად 30 აპრილის შემდგომ 19 ივნისს გამომარილების პროცესის აქტივობა ფიქსირდება.

2020 წლის 11 მარტის მდგომარეობა



პირდაპირი განათებით

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე.



პირდაპირი განათებით

2020 წლის 30 აპრილის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივი მოხსნის შემდგომ.



პირდაპირი განათებით

2020 წლის 19 ივნისის მდგომარეობა მარილის ნაწილობრივ მოხსნამდე



პირდაპირი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით



გვერდითი განათებით

- მიმდინარეობს დაზიანებული ფრაგმენტის მდგომარეობის მონიტორინგი, მათ შორის გამომარილებულ მონაკვეთებზე მარილის ნაწილობრივი მოხსნა.

მეტი გამომარილება


მეტი გამომარილება, შეცვლილია გამომარილების გავრცელების ფორმა/გადანაწილება




დასავლეთი კედელი

- 2020 წლის 11 მარტი - ქვისა და შეკეთებების ფერის სახეცვლა (ტენის შემცველობა), გამომარილება
- 2020 წლის 30 აპრილი - 2020 წლის 11 მარტისგან განსხვავებით მარილის ნადები მკვეთრად შემცირებულია
- 2020 წლის 22 მაისი - 30 აპრილთან შედარებით მარილის ნადების აღარ გვხვდება, გაზრდილია ტენის ლაქა
- 2020 წლის 16 ივნისი - 22 მაისთან შედარებით ტენის ლაქა შენარჩუნებულია.


2020 წლის 11 მარტი




2020 წლის 30 აპრილი



2020 წლის 22 მაისი



2020 წლის 17 ივნისი



- მიმდინარეობს დაზიანებული ფრაგმენტის მდგომარეობის მონიტორინგი, მათ შორის გამომარილებულ მონაკვეთებზე მარილის ნაწილობრივი მოხსნა. მონიტორინგის დროს.

კვლავ შეინიშნება მხოლოდ სისველე.



3 აგვისტოს მდგომარეობით:

დასრულებულია:

- დაზიანებულ მონაკვეთებზე დროებითი ე.წ. „ტენტის“ გადახურვის მოწყობა;
- ახალი, ჩასანაცვლებელი კრამიტების ნიმუშების დამზადება.

მიმდინარეობს:

- ხარაჩოსა და პერმანენტული დროებითი გადახურვის მოწყობა;
- გარემო პირობების მონიტორინგის სისტემის მოწყობა;
- ჩასანაცვლებელი კრამიტების ნიმუშების ლაბორატორიული შემოწმება და ექსპერტიზა მის გამძლეობასა და კირ-დულაბის ხსნარზე მისი მოწყობის შესაძლებლობასთან დაკავშირებით;
- კრამიტის დაზიანების მიზეზის დადგენა, შესაბამისი ექსპერტიზის, ლაბორატორიული კვლევისა და მათი ფიზიკო-მექანიკური მახასიათებლების დადგენისა და შეფასების გზით.

ხარაჩოების მოწყობის შემდეგ:

- დაზიანების წყაროს იდენტიფიკაცია შესაბამისი კვლევებისა და ზონდირების მეშვეობით;
- დაზიანებების გავრცელების იდენტიფიცირება (მათი გრაფიკული და ტექსტური დოკუმენტირებით) და შესაბამისი ჩარევების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა და ნებართვის მოპოვება და სამუშაოების წარმოება სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად;
- ექსპერტიზის მიერ დადებითად შეფასებული ნიმუშების მიხედვით ახალი, ჩასანაცვლებელი კრამიტების დამზადება.
- „თეთრი“ კერამიკით დამზადებული კრამიტების ახლით ჩანაცვლების საპროექტო დოკუმენტაციის შედგენა, ნებართვის მოპოვება და სამუშაოების წარმოება სააგენტოს მიერ შემუშავებული რეკომენდაციების შესაბამისად.

ზემოთ ჩამოთვლილი ღონისძიებებისა და ქმედების დასრულების შემდეგ/პარალელურად დღის წესრიგში დადგება კედლის მხატვრობის მდგომარეობის შესწავლისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების საჭიროება, ასევე, წყალგადამყვანი სისტემის შემუშავებისა(საპროექტო დოკუმენტაციის შემუშავება მიმდინარეობს) და მოწყობის საჭიროება.

